საქართველო

№ 40 (67) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 3 ოქტომბერი, 1943 წ.

ჩვენი საბრძოლო ამოცანა

სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ტრადიციული აღფრთოვანებითა და თავგანწირვით ჩაებენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები. მებრძოლმა ქართველმა ახალგაზრდობამ უწმინდეს მოვალეობად აღიარა რა ბოლშევიზმის დამხობისათვის გმირული ბრძოლა, აღმართა რა საყვარელი შვინდისფერი დროშა, რაინდული სიმამაცით სწირავს ამ საქმეს სიცოცხლეს, საკუთარ სისხლს.

ქართულმა საველე ათასეულებმა, გერმანელი ჯარისკაცების მხარდამხარ ბრძოლაში დაამტკიცეს მიღებული ფიცისადმი ერთგულება. საბრძოლო მეგობრობამ, რომელიც სამშობლოს მტრის, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჭედა, შეაკავშირა გერმანელი ჯარისკაცი ქართველ ლეგიონერთან. თვითეული ქართველი მებრძოლისათვის დღეს ნათელია ის გარემოება, რომ მამულის ხსნა შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ გერმანელი ხალხისა და მისი ძლევამოსილი არმიის დახმარებით.

ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში, როცა პირველად გავშალეთ ჩვენი წინაპრების სისხლით შეღებილი ეროვნული დროშა, ჩვენ ქართული ვაჟკაცური სიტყვა მივეცით გერმანულ სარდლობას. მან გვიგულვა თანამებრძოლად და გადმოგვცა მსოფლიოში ყველაზე მახვილი და განთქმული გერმანული იარაღი. იარაღით, რომლის ტრიუმფალური ძლიერება გაისმის დედამიწის კიდით-კიდემდე, ჩვენ გავედით ბრძოლის ველზე და ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ ქართული სიმამაცე.

ისტორია გვასწავლის მრავალ მაგალითზე, რომ მეგობრობა ერებს შორის, რომელიც ნაწრთობია ბრძოლის ველზე წარმოადგენს მრისხანე ძალას. ამას კარგად გრძნობენ ბოლშევიკები. პროვოკაციის გზით ისინი ცდილობდნენ დაეთესათ მტრობა ჩვენსა და ჩვენ მებრძოლ მეგობრებს გერმანელებს შორის. ანტიგერმანული აგიტაცია და პროპაგანდა დგას ამჟამად გაიძვერა ბოლშევიკების ყურადღების ცენტრში. ქართული ლეგიონის მებრძოლმა ცხოვრებამ გააცამტვერა ბოლშევიკური პროპაგანდის ოინები. ქართველმა ლეგიონერებმა სწორად აუღეს ალღო სამართლიანი ბრძოლის დედააზრს და ვაჟკაცურად დაადგნენ ერთადერთ სწორ გზას — გერმანელ ჯარისკაცთან მტკიცე მეგობრობის გზას.

ამჟამად მეტად დაძაბულ მომენტში თვითეული ჩვენგანისაგან მამულისათვის ბრძოლა მოითხოვს ყველა სიძნელეთა გადალახვას, რათა კიდევ უფრო მეტი სიძლიერით დავუმტკიცოთ ერთგულება ჩვენს მებრძოლ მეგობარს, დავანახოთ მას ჩვენი თავგანწირვა კაცობრიობის საშინელი მტრის ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენი ლეგიონის ძირითადი მასა გამოსულია ტყვეთა ბანაკიდან. გერმანელმა ხალხმა გუშინდელი ქართველი ტყვე აღჭურვა უდიდესი ნდობით — მისცა ხელში იარაღი და ჯარისკაცობის საპატიო სახელი. ეს სახელი მოითხოვს ვაჟკაცურ საქმეებს, გამართლებას. აი, რას უნდა გრძნობდეს თვითეული ჩვენგანი დღეს. ქართული ლეგიონის მებრძოლი რაზმების პატრიოტული აღფრთოვანება დასტური იყო იმ ეროვნული უშრეტი გრძნობისა, რომელიც ქართველ ადამიანში სისხლჭარბ ნაკადათ სჩქეფს. ბოლშევიზმის შხამით მოწამლული ქართველი ახალგაზრდობის გულში, გაისმა თუ არა მოწოდება ქართული მიწის აღდგენისათვის, მამულიშვილური მგზნებარებით გაიელვა ეროვნულმა აღტინებამ. ჩვენს ხელთ არის გმირობისა და რაინდობის შესანიშნავი მაგალითები, რომელიც სამშობლოსათვის ბრძოლაში გადაიხადეს ჩვენმა მებრძოლმა ძმებმა. ეს მაგალითები უხმობენ ქართველ ლეგიონერთა რაზმებს, აღვიძებენ შურისძიების ცეცხლს ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ჩვენს რიგებში აქა იქ მოიძებნებიან მერყევი ადამიანები, რომელთა გონებიდან ჯერ კიდევ არ გამონელებულა ბოლშევიკური ბანგი. ასეთი ადამიანები ადვილად ებმებიან მტრის მიერ დაგებულ მახეში. ჩვენი ლეგიონის რიგებში აღმოჩნდნენ თითო ოროლა მოღალატენი და გამყიდველნი, მაგრამ მათ დაიმსახურეს ლეგიონერების ერთსულოვანი ზიზღი; ჩვენი ლეგიონერი ახალგაზრდობა მომავალშიც დაუნდობლად გამოამჟღავნებს ყველა მათ, ვინც ცდილობს ხელი შეგვიშალოსა და შეასუსტოს ჩვენი მებრძოლი აღფრთოვანება.

ეხლა, ბრძოლის ერთობ რთულ ეტაპზე, საჭიროა მთელი ჩვენი ფიზიკური და მორალური ძალების დაჭიმვა. ჩვენ უნდა დავამხოთ ბოლშევიზმი, მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებიან ჩვენი ობოლი ოჯახები, ძმები, თანამემამულეები, მხოლოდ მაშინ იქნება თავისუფალი ქართული მიწა.

თვითეული შეგნებული ლეგიონერის მოვალეობაა: ესმის რა დღევანდელი მომენტის სირთულე, დაეხმაროს ამხანაგებს კარგათ შეიგნონ იგი. **ჩვენ ვებრძვით ბოლშევიზმს, ვებრძვით ინგლის-ამერიკულ კაპიტალიზმს, რომელიც წყალს ასხამს ბოლშევიზმის წისქვილზე. ქართველი ხალხი ბოლშევიკებისაგან გაღატაკებული, ეხლა განიცდის ინგლისელი და ამერიკელი კაპიტალისტების დამმონებელ ექსპლოტაციას. ტანკები, სამხედრო საჭურველი, იარაღი რომელიც ამერიკელებს, თუ ინგლისელებს მიაქვთ ბრძოლის ველზე ნაყიდია ჩვენი მამებისა და ძმების სისხლით, ოფლით. თუ ჩვენ არ გვინდა ასე იტანჯებოდნენ ჩვენი მამები და ძმები, უნდა ვიბრძოლოთ ბოლშევიზმისა და მისი მოკავშირეების, ინგლის-ამერიკელთა წინააღმდეგ.**

არავითარ სიძნელეს და არავითარ პროვაკაციას არ შესწევს ძალა შეარყიოს გერმანელი ჯარისკაცისა და ქართველი ლეგიონერის მებრძოლი მეგობრობა. ამ მეგობრობამ გვაჩვენა თავისი ბრწყინვალე ნაყოფი, იგი კვლავ გამოავლენს ახალ რაინდულ საქმეებს.

ქართული სიტყვისა და მიღებული ფიცისათვის ბრძოლა — აი რა შეადგენს ჩვენს საბრძოლო ამოცანას!

იტალიის ახალი მთავრობის შემადგენლობა

დამფუძნებელი კრების მოწვევასთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა შეედგინა ახალი ფაშისტური რესპუბლიკური სახელმწიფოს კონსტიტუცია, დუჩემ შეადგინა ახალი მთავრობა. მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი არის თვით დუჩე.

შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ბუფერინი-გიდი, თავდაცვისა და სამხედრო მრეწველობის — იტალიის მარშალი გრაციანი, იუსტიციის — ცრინგალი-კაზინო, ფინანსთა — პელეგრინი, მრეწველობისა და კორპორაციის — გაი, განათლების — მეცაზომა, საგზაო მიმოსვლის — არჩიდიაკონო, საზოგადოებრივ სამუშაოთა — პოვარელი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სტატს-სეკრეტარია ადმირალი ლეგნანი, ხოლო ავიაციის — პოდპოლკოვნიკი გოტო.

<>

ბადოლიოს „მთავრობის“ ბედი

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ სტატსსეკრეტარ ბეარლეს მოადგილემ პრესკონფერენციაზე, განაცხადა: „ბადოლიოს მთავრობა იმყოფება მოკავშირეთა სადგომის სრული კონტროლის ქვეშ“. ბერლემ უარი განაცხადა პასუხი გაეცა შეკითხვაზე — მიიღო თუ არა მოკავშირეთა მთავრობამ საბოლოო გადაწყვეტილება ბადოლიოს „მთავრობის“ კომპეტენციის შესახებ.



საიერიშო ქვემეხი შეტევის წინ

იტალიის ახალი მთავრობის ცნობა

ფიურერის დეპეშა დუჩეს

28 სექტემბერს, ჩრდილო იტალიის ერთერთ ქალაქში დუჩეს თავმჯდომარეობით შესდგა ფაშისტური რესპუბლიკური მთავრობის დამფუძნებელი კრება.

ფიურერმა ფაშისტური რესპუბლიკური მთავრობის მეთაურს, ბენიტო მუსოლინს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „**დუჩე! სიხარულითა და უდიდესი კმაყოფილების გრძნობით მივიღე მე ცნობა იტალიაში ფაშისტური რესპუბლიკური მთავრობის შექმნის შესახებ. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გერმანიის მთავრობა სცნობს თქვენს მიერ შექმნილ იტალიის ფაშისტურ რესპუბლიკურ მთავრობას და გადაწყვეტილი აქვს თქვენთან ერთად აწარმოოს ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე. ადოლფ ჰიტლერი**“.

იაპონიის მთავრობამ თავის მხრივ იცნო იტალიის ფაშისტური რესპუბლიკური მთავრობა. სამთა პაქტის კავშირის წევრ სახელმწიფოთაგან იტალიის ახალი ფაშისტურ რესპუბლიკური მთავრობა იცნეს: რუმინეთმა, რომლის მთავრობის მეთაურმა პირველმა გაუგზავნა დუჩეს მისასალმებელი დეპეშა, ბულგარეთმა, ხორვატიამ, სლოვაკეთმა, ნაციონალურმა ჩინეთმა, მანჯუ-დიგომ, ტაიმ და ბირმამ.

<>

დეპეშების გაცვლა ფიურერსა, დუჩესა და ტენიოს შორის

სამთა პაქტის სამი წლის შესრულებასთან დაკავშირებით მოხდა დეპეშების გაცვლა ფიურერსა და მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებს შორის.

დუჩეს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ფიურერმა განაცხადა: „**დღეს სამთა პაქტზე ხელისმოწერის დღიდან სამი წლის შესრულების გამო, მე გიგონებთ თქვენ და თქვენს გარშემო გაერთიანებულ ფაშისტურ იტალიას ღრმა მეგობრული გრძნობით. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ რაგინდ დიდი არ იყოს სიძნელენი, ის უდიდესი ბრძოლა, რომელიც სწარმოებს თავისუფლებისა და ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის ხალხთა მომავლის სახელით, დამთავრდება ჩვენი გამარჯვებით**“.

საპასუხო დეპეშაში მუსოლინი სწერს: „მიუხედავად მძიმე კრიზისისა, რომელიც იტალიაში გამოწვეულია დინასტიისა და მათი დამქაშების მიერ, მე ღრმად მჯერა, რომ ინგლის-ამერიკის პლუტოკრატები დამარცხებულნი იქნებიან. ამ ბრძოლაში უკანასკნელ როლს არ ითამაშებს ახალი ძალა რომელსაც წარმოადგენს ფაშიზმი“.

დეპეშაში, რომელიც გაიგზავნა ტენიოს სახელზე ფიურერი აღნიშნავს: „მე მთელი გერმანიის ხალხის სახელით თქვენს უმაღლესობას ვუთვლი გულმხურვალე სალამს და ჩემს საუკეთესო სურვილებს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განმათავისუფლებელი ომი, რომელშიც ჩვენი ხალხი იძულებული იყო მიეღო მონაწილეობა, დამთავრდება ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებით და მიიყვანს ჩვენს ხალხებს ბედნიერ, უზრუნველყოფილ მომავლამდე“.

<>

დამსახურებისა და პატივისათვის

გამყიდველი ბადოლიო შეეცადა გამოსულიყო სიტყვით იტალიელ სამხედრო ტყვეთა ბანაკში. მას ლაპარაკის ნება არ მისცეს და სიცილით, ეთრსულოვანი სტვენით შეხვდნენ. ამასთან ერთად სამხედრო ტყვეები მღეროდნენ ფაშისტურ სიმღერებს, ბადოლიომ შესძლო დიდი ხნის ცდის შემდეგ დაეპყრო ბრბოს ყურადღება; ის გააცილეს ყვირილით: „გამყიდველი, გამცემი!..“

<>

ფაშისტური მთავრობის დადგენილებანი

30 სექტემბერს, მუსოლინის თავმჯდომარეობით შესდგა იტალიის ახალი ფაშისტური რესპუბლიკური მთავრობის სხდომა. მთავრობამ მიიღო მთელირიგი დადგენილებისა. მთავრობის ადგილსამყოფელი ადგილი გადატანილია რომიდან იტალიის სხვა ქალაქში. სენატი, რომლის წევრები მეფისაგან იყო დანიშნული, დათხოვნილია. საზღვაო, საავიაციო და სამხედრო ნაწილები ჩარიცხულნი არიან ნაციონალური უშიშროების ფაშისტურ მოხალისეთა მილიციის შემადგენლობაში. 13 ფაშისტური პროფკავშირი გაერთიანებული იქნება ერთ პროფკავშირად.

<>

ფილიპინების დამოუკიდებლობა

1 აგვისტოს შექმნილ იქნა ბირმის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ახლო მომავალში, იაპონიის ხელმძღვანელობით გამოცხადებული იქნება ფილიპინელების დამოუკიდებლობა.

ფილიპინების მომავალმა პრეზიდენტმა, დოქტორმა ხოზე რაუელმა, რომელიც ამჟამად ტოკიოში იმყოფება, გამოაქვეყნა ფილიპინის კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები. როგორც ცნობილია, ბირმის ეხლანდელი პრეზიდენტის დოქტორ ბა მავის ტოკიოში გამგზავრებისთანავე გამოქვეყნდება პროკლამაცია ბირმის დამოუკიდებლობის შესახებ.

ერთი მრავალთაგანი. მტრის განადგურებული ტანკი.

ფილიპინების ნაციონალური კრების პირველი სხდომა

25 სექტემბერს, ფილიპინების ნაციონალურმა კრებამ, რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ხოზე ლარურელი.

ნაციონალური კრება შესდგება 108 დეპუტატისაგან, მათი შემადგენლობიდან 54 დეპუტატი არჩეული იყო 20 სექტემბერს საყოველთაო არჩევნების დროს, დანარჩენები არიან სხვა და სხვა პროვინციების გუბერნატორები და მსხვილი ქალაქების ბურგომისტრები.

ნაციონალური კრების პირველი სხდომა მოსმენილი იქნა რადიოთი. 200.000 კაცზე მეტმა მოიყარა თავი პარლამენტის შენობის წინ მოედანზე, მათ დეპუტატებსა და პრეზიდენტს გაუმართეს მქუხარე ოვაცია.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, ხოზე ლარურელმა სიტყვით მიმართა მოსახლეობას და მოუწოდა დასჭიმოს მთელი ენერგია, რათა უზრუნველჰყოს იმ ამოცანების შესრულება, რომელიც დგას დღეს ქვეყნის წინაშე.

ახალმა პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა პირველი საკანონმდებლო კრების მნიშვნელობას. მთელირიგი საკითხებისა დგანან ფილიპინელი ხალხის წინაშე. შეერთებული ძალებით, შესაძლებელია მათი წარმატებით გადაჭრა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ფილიპინელი ხალხის თავისუფლება.

ბრძოლა შორეულ აღმოსავლეთში

იაპონიის საიმპერატორო სადგომიდან იუწყებიან მძაფრ ბრძოლაზე, რომელიც სწარმოებს კუნძულებს ახალ გეორგიასა და კულამბრანგრას შორის. ბუინზე საჰაერო თავდასხმის დროს იაპონელთა მიერ მტრის 240 თვითმფრინავიდან ჩამოგდებულია 60.

ტოკიო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იაპონიის მოიერიშე ნაწილების ოპერაციებს კუნძულ არნუდელზე. ეს კუნძული მდებარეობს ბუგალვილის ახლოს. იაპონელებმა იერიში მიიტანეს მტრის შენაერთზე, რომელიც 600 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა და განდევნეს იგი. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 95 მოკლული. იაპონელებმა ხელთიგდეს დიდძალი ,სამხედრო საჭურველი და სამხედრო მასალა.

სამხრეთ იტალია

აბრუცოს, კამპანიის, აპულიის, ლუკანისა და კალაბრიის პროვინციები, კუნძულები სიცილია და სარდინია შეადგენენ სამხრეთ იტალიას. მას უჭირავს 123,1 ათასი კვადრატული კილომეტრი, ანუ 40 პროცენტი მთელი იტალიის ტერიტორიისა. ეკონომიური თვალსაზრისით სამხრეთი ნაწილი გაცილებით ნაკლებ როლს თამაშობს ჩრდილოეთთან შედარებით. სამხრეთ იტალია თითქმის მხოლოდ აგრარული რაიონია. მოსავალი აქ ერთობ დაბალია, იმის გამო რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება დაბალ დონეზე დგას. მაშინ, როცა საშუალო საჰექტრო მოსავალი მთელს იტალიაში უდრის 16 ცენტნერს, სამხრეთ ნაწილში იგი ძლივს აღწევს 10 ცენტნერამდე. დაბალი მოსავალი აგრეთვე აიხსნება მიწის სიმწირითა და ზედმეტად მშრალი ამინდით.

ცხელ ზაფხულს აქ მოსდევს წვიმიანი ზამთარი, რომელიც ძლიერ აძნელებს მიმოსვლას. გვალვების გამო სამხრეთ იტალიაში ერთობ სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობაც, მხოლოდ თხის ჯოგები ჰყავთ მთის ციცაბ თხემებზე.

მრეწველობის მხრივ სამხრეთ იტალია ჩამორჩენილი რაიონია. მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამთო მრეწველობა, კუნძულ სიცილიაზე სწარმოებს გოგირდისა და ასფალტის ამოღება. მაღალ საფეხურზე დგას მეღვინეობა და შინამრეწველობა,.განსაკუთრებით საპნისა და ასანთის დამზადება. სამხრეთ იტალიის მნიშვნელოვანი ნავთსადგურია ნეაპოლი. მისი ტვირთბრუნვა 1933 წელს უდრიდა 1.840 ათას ტონას. ნეაპოლი — გემებისა და მანქანათმშენებლობის ცენტრია. შედარებით ნაკლებ როლს თამაშობენ ზღვისპირა ქალაქები: ბრინდიზი, მესინა, კატანია და პალერმო. ყველა ეს ქალაქები სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებია.



რკინიგზის ქსელი სამხრეთ იტალიაში არ არის ვრცელი. იგი უვლის მხოლოდ სანაპიროებს.საავტომობილო გზებიც აგრეთვე მიემართებიან ზღვის ნაპირების გასწვრივ. სამთო გზები და გადასასვლელები ზამთარში და განსაკუთრებით შემოდგომაზე ხშირი წვიმებისას იკეტებიან ჩამოწოლილი ზვავების გამო, ამიტომ ომისას ისინი შესაძლოა გამოიყენონ მხოლოდ სპეციალური ნაწილების დახმარებით.

□

ახალგაზრდობა — ფაშისტურ მილიციის რიგებში

იტალიის ფაშისტური მილიციის გენერალ- ლეიტენანტმა მოწოდებით მიმართა ახალგაზრდობას, შევიდეს ფაშისტური მილიციის რიგებში. სამსახურის ვადათ დაწესებულია ერთი წელი. მილიციის რიგებში სამსახური ითვლება სამხედრო მოვალეობის შესრულებათ.

23 სექტემბერს, ფაშისტური რესპუბლიკური მთავრობის რადიოსადგურმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იტალიის ახალგაზრდობა მასობრივად შედის მილიციის რიგებში.

ფაშისტური რესპუბლიკური პარტიის გენერალურმა მდივანმა პოვოლინმა, ფაშისტური მილიციის გენერალური კომისარი გენერალ-ლეიტენანტი რიჩი დანიშნა ახალგაზრდა ფაშისტების ხელმძღვანელად.

□

იტალიის ფლოტის გადაცემის მოთხოვნა

ეგრეთწოდებულმა საფრანგეთის ნაციონალურმა კომიტეტმა, რომელსაც მეთაურობენ მოღალატენი ჟირო და დე გოლი, თხოვნით მიმართა გენერალ ეიზენჰოვერს რათა ამ ომში, ჩაძირული და დაკარგული საფრანგეთის სამხედრო გემების მაგიერ გადასცეს მას იტალიის სამხედრო გემები, რომლებიც იმყოფებიან მარშალ ბადოლიოს განკარგულებაში. გენერალ ეიზენჰოვერმა აღუთქვა, რომ ამ საკითხს განიხილავს „დადებითად“.

ქართული ლაშქარი რუსეთთან შეერთებამდე

საქართველოს ისტორია მოგვითხრობს, რომ ქართველთა მოდგმის ტომებში სარდალი და მოსამართლე მშვიდობიანობის დროს ერთი და იგივე პირი იყო, სამეზობლო საქმეებს კი განაგებდნენ ქურუმები, ვარსკვლავთმრიცხველნი. როცა ქვეყანას განსაცდელი მოადგებოდა, მათ იცოდნენ ერთმანეთის მხარის დაჭერა. ომიანობისას მთელი ხალხი მეომრათ ხდებოდა. მათ ჰყავდათ ცხენოსანი შვილდოსნები, იყვნენ შუბოსნებიც, ქურუმები კი მშვიდობიანობის დასამყარებლად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, სდებდნენ ხელშეკრულებას.

ამგვარად უხსოვარ დროიდან ქართველთა მოდგმის ტომები იცავდენ თავის ტერიტორიას, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. იმ დროს ხალხი, ერი და ჯარი ერთი და იგივე იყო. საქართველოში ჯარის აღმნიშვნელ ტერმინად იყო ორ მნიშვნელოვანი სიტყვა „ერი“ რაც „ჯარს“ ან „ლაშქარს“ უდრიდა. დროთა განმავლობაში, ეს ტერმინი გადაიქცა სამხედრო წრის გამომხატველად და გიორგი მესამის დროს „ლაშქარი“ უკვე ნიშნავდა ხელისუფლებას. „განსაკუთრებული სამხედრო წოდება — სწორად შენიშნავს პროფ. ი. ჯავახიშვილი — საქართველოში არ სჩანსო“...

მე-12 საუკუნის დასაწყისში საქართველო პოლიტიკურად გაძლიერდა, ერთ ნაციონალურ პოლიტიკის საფარქვეშ დადგა. ერთა შორის მისი ხმა ანგარიშ გასაწევი შეიქნა, საერთაშორისო ოჯახში ადგილი დაიკავა, გონებრივად ამაღლდა...

დავით აღმაშენებელს, მითობის პირველ ხანებში „სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა“. საქართველოს მაშინ ჰყავდა საპატრონყმო „მცირე გუნდი მხედრობისა“ მაგრამ ეს მეომრები ისტორიკოსის სიტყვით იყვნენ: „უცხენონი, უსაჭურვლენი და თურქთა მიერ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მაშიშნიც“. დავით აღმაშენებელმა გონიერი მოქმედებით, სწავლითა და აღზრდით, გაწრთვნა ეს „შეჯაბებულნი, ფრიად მოშიშნი“ და ძლიერ სამხედრო ძალად გადააქცია.

საქართველოში მეფობის გაუქმებისა და მოსპობის შემდეგ, მე-5 საუკუნის პირველ ნახევრიდან მე-9 საუკუნის დამლევამდე ქვეყანა ხელში ჩაიგდეს პატარა მთავრებმა, რომელთაც ხელთ ეპყრათ სამხედრო ძალაც. ამ დროიდან ისტორიკოსის სიტყვით „გაირყვნა ქვეყანა და შეიცვალა ყოველი წესი მისი და განგება პირველთა განწესებულიო“ მთავრების ასალაგმავად დავით აღმაშენებელმა თავის წინაპართა გზა უარჰყო. შეისწავლა საქართველოს წარსული, გონივრულად გაითვალისწინა მაშინდელი ვითარება და თავდასაცავად გარდა გამოწვეულ ჯარისა, რომლის სპასალარები ერისთავები იყვნენ 1118 წელს შექმნა დაქირავებული ჯარი. ეს ჯარი მან დაჰყო ნაწილებად და დაუნიშნა ხელმძღვანელები. დავით აღმაშენებელმა შექმნა 5000 კაცისაგან შემდგარი პირადი მცველი ჯარი, რომელიც სანდო იყო მეფისათვის და შესდგებოდა მხნე მხედრებისაგან. ასე ჩამოყალიბდა საქართველოში მხედრობა, რომელიც დაქირავებული იყო და რომლის საშუალებითაც 1121 წელს დავით აღმაშენებელმა ცნობილი ომი აწარმოვა...

ეს დაქირავებული, ჯამაგირიანი ჯარი მხოლოდ და მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა. დავით აღმაშენებელმა ჯაბანი მხედრობა გამოაცოცხლა, მებრძოლი სული ჩაჰბერა, შექმნა სანდო დაქირავებული ჯარი, მაგრამ შიგ გამოჩნდა არა ერთი ორგული და მოღალატე, რომლებიც სასტიკად იქნენ დასჯილნი. აზნაურები შეთქმულების შეთქმულებაზე აწყობდნენ და ამხედრებდნენ მეფის წინააღმდეგ ჯარის მცირე ჯგუფებს... დავით აღმაშენებელს ამ დროს დაუარსებია საიდუმლო პოლიცია, ჟანდარმერია, რომელიც მის წინაპრებს არ ჰყოლია. ამ ორგანიზაციის მეოხებით დასძენს მატიანე „ვერცა ვინ განიზრახ ყოვლად რაზთუთით ღალატი დღეთა მისთა, არამედ იყო საკრძალავი და რიდი“.

იმ დროისა და მერმინდელი საქართველო დაყოფილია საერისთაოებათ და თემებათ, რომელთაც ჰყავთ მთელი სამეფოს ქვეითი და მხედარი ლაშქარი. ლაშქრის ერთი ნაწილი იცავდა ციხე-სიმაგრეებს, მეორე კი მომქმედ ძალას წარმოადგენდა და ითვლებოდა მეფისა და მთავარ სარდლის მხლებლად. ლაშქარში შედიოდა: „სამეფოს სპანი“ რომელიც ცალცალკე კუთხეებიდან და თემებიდან გროვდებოდა. ეს არის სააზნაურო, მოყმეთა ჯარი და ეწოდებოდა „სპანი იმერნი და ამერნი“. ამას გარდა არსებობდა ლაშქარი ტაოსი, შავშეთის და კლარჯეთის; ყველა ისინი პატრონყმური ლაშქარს წარმოადგენდა და თვითეულს ჰყავდა თავისი „პატრონიც“. ლაშქრობისა და ბრძოლის დროს ყმები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი პატრონის ვგერდით და მეთაურობით ეომნათ.

ლაშქრის გამოწვევის უფლება ჰქონდა მეფეს. თუ ომი გამოცხადდებოდა, მეფის ბრძანებით დაინიშნებოდა დრო და ადგილი თავმოყრისა. თავმოყრილ ლაშქარს მეფე გაუსინჯავდა იარაღსა და მოკაზმულობას. ამას უწოდებდნენ ალლუმს, ამის შესახებ „ვეფხის ტყაოსანში“ ვკითხულობთ: „ალლუმი ვნახე მეფეთა, ლაშქართა მოკაზმულობა, ტაიჭთა მათთა სიმალე აბჯრისა ხვარაზმულობა“. ალლუმის შემდეგ მეფე გამოატანინებდა სახლიდან დამოუკიდებლობის სახელმწიფო დროშას, ჩააბარებდა ამირ სპასალარს და ლაშქარიც საომრად დაიძროდა. ომიდან დაბრუნებულ ჯარს მთავარსარდალი შემოუძღოდა, რასაკვირველია წინ მახარობელს გზავნიდა, მეფეს მოხსენებას გაუკეთებდა, ნადავლს გაანაწილებდნენ. ამის შემდეგ მეფე ლაშქარს დაითხოვდა, რასაც „ლაშქართა გაყრა“ ეწოდებოდა. სპასალართა და ამირ სპასალართა მოქმედება შეზღუდულია, მთავარ ხელმძღვანელად და უზენაეს პატრონად ითვლება მეფე. ლაშქართა განწესება, დაწყობა, ყოველივე სამხედრო საქმეების ხელმძღვანელობა მის ხელშია. სპასალარები მისი დამხმარენი არიან, მათი მოვალეობაა ლაშქრობის გეგმის შემუშავება და განხორციელება. ისინი იყვნენ „საპატიო ვეზირად“ და „თავი ლაშქართა“. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა „წყობათა შინა აღზრდილნი და ლაშქართა საქმეთა“ მცოდნე.

ქვეყანა რომ მტაცებელთა თარეშისაგან დაეცო, თეიმურაზ მეფემ დააწესა მილიციის მზგავსი ჯარი. სოფლები წლიურად ჰგზავნიდნენ სადარაჯოთ 2000 ცხენოსანს, მათ სანოვაგეს ხაზინა აძლევდა, ხოლო წლიურად 30-40 მანეთს ჯამაგირს თავიანთი სოფლები. (ბუტკოვი). ერეკლემ ეს დადგენილება შესცვალა ახალი სამხედრო ბეგარით, რასაც ეწოდა **მორიგი ჯარი.** ეს ახალი ჯარი იყო ნაწილი ცხენოსანი, ნაწილი ფეხოსანი. ყველა ვისაც მიწა ჰქონდა, მისდევდა ხვნა-თესვას, მეჯოგეობას, მებაღეობას, ქართველი, სომეხი და თათარი, ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვე თავის ხარჯით ემსახურა იქ, სადაც მეფე უჩვენებდა. ამ სავალდებულო ბეგარიდან თავისუფალი იყო: ოსეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშები და მთის ყველა მცხოვრები, მეზობელ მტაცებელთა მესაზღვრე, ქალაქის ყველა ვაჭარი და ხელოსანი, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ თავის ნაცვლად სხვა ვინმე გაეგზავნათ. თავადები, ათასის, ხუთასის და ასის თავები, მსახურობდნენ თვიურად, ჯამაგირით, რომელსაც ხაზინა იხდიდა. საქართველოს მუდმივი ჯარი არ ჰყოლია, მას საჭიროების დროს გამოიწვევდნენ და დაითხოვდნენ, იქ ყველა თავისი ხარჯით მსახურობდა.

ამ მორიგ ჯარში, სამშობლოს დაცვის წასახალისებლად, წელიწადში ერთს თვეს მეფე ერეკლეც მსახურობდა.

საქართველოს ანექსიის შემდეგ (1801) რუსეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეადგინა მილიცია. სამხედრო ბეგარის შემოღებას კი რუსეთი შეუდგა 1874 წლიდან და მხოლოდ 1888 წელს იწყეს ქართველების ჯარისკაცად წაყვანა. ცხადია დაპყრობის შემდეგ არავითარ ნაციონალურ დამოუკიდებელ სამხედრო ძალაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

პ. ხ.

ეროვნული ერთობის საფუძვლები

„ალარ გყავთ ნეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“



ბიბლიის ყდა ოქროთი და ძვირფასი ქვებით მორთული. მასზე სჩანს ქართული ანბანი, რომლითაც სარგებლობდნენ მე-7 საუკუნეში.

მეფე ერეკლეს დაუზოგველმა და თავგანწირულმა ბრძოლამ ქვეყნის გადასარჩენად და მრავალმა ომმა, რომელიც მან აწარმოა, ხალხის გონებაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და თამარ მეფის შემდეგ ორმოცი დიდი ომიდან ოცდაათი ერეკლემ გამარჯვებით დაასრულა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თამარის მერმე ის უდიდეს პიროვნებად გახდა. მას ხალხურ სიტყვიერებაში პირველი ადგილი უჭირავს და ერის პოეზია მის გმირობას, ჭკუას, პოლიტიკას ქებას უმღერის, ხოტბას ასხამს.

ბევრია მხატვრულად ძლიერი ლექსი, რომელშიც ხალხის მიერ დამღერებულია ასპინძის ომი, ომები სპარსეთთან, თურქეთთან, ლეკეთთან და სხვ.

მრავალი ბრძოლის გარდამხდელი ერეკლე, ხალხს ჩვეულებრივ ადამიანად არა ჰყავს წარმოდგენილი, მის პირს „მზე ეფინების“, არს „ღვთისაგან დოვლათიანი“, „წმინდა ნინოი შემწედ ჰყავს, დაღესტანს ებრძვის ხმლითაო; სადაც რომ მტერი აღუჩნდა, დაიმორჩილა თვითაო, ასე ყოფილა ყოველ ჟამს, ასეც იქნება ღვთითაო“. „ერეკლე ბატონიშვილი განა უბრალო კახია? საგურამოში ლეკისა ჯარ, მარტო, შუა გახია“. ვინაიდან „ხმალი სჭრის ბაგრატოვნისა, მეფისა ერეკლისაო“, ამიტომ მებრძოლთათვის სანატრელიც იყო მასთან თანადგომა:

„ნეტავი მაგცათ ხევსურნო, საგზალი სამი დღისაო! ერეკლეს შამახვევიხართ, მაქნევა გწადის მხრისაო“.

შექებულია მისი პოლიტიკურ-მხედრული საქმიანობაც:

„ბატონი ჩვენი ერეკლე
დღეს არის გამარჯვებული;
მთელი სპარსეთი შეინძრა,
არიან შეძრწუნებული;
ყარსიდან დარუბანდამდე
მტერი ჰყავს დამონებული;
სხვა არა თქმულა მეფეი
მისებრივ თავდადებული“.

ეს გამარჯვებული და „თავდადებული“ მეფე მაინც იძულებული გახდა რუსეთის მფარველობა ეძებნა და მასთან სამფარველო ხელშეკრულება დაედო (1783წ.); და შეიძლება იმედგაცრუებულიც კი, ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა, იხილა რა თბილისის უკანასკნელი აოხრება აღა-მაჰმად-ხანის მიერ (1795წ.).

ერეკლეს სიკვდილმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, რომელიც გულწრფელად დასტიროდა არამც თუ მარტო მას, არამედ სამეფოსაც.

„ღმერთო, რა დიდი ბრალია
არევა ქალაქისაო,
დალევა ბაგრატიონთა,
ჩარჩევა მასკვლავისაო,
მეფის ერეკლის სიკვდილი,
დაქცევა ხმელეთისაო“.

ან კიდევ: „ღმერთმა იცოდეს მეწყინა სიკვდილი ერეკლისაო“...

ან:

„ვერ გაიგეთა, ქართველნო?
შაგეხსნათ რკინის კარია,
ალარ გყავთ ნეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარია,
დამდგარა ბაირალები,
ალარ სჭექს ზარბაზანია“...

ალარ სჭექდა ზარბაზანი ქართველთა, მაგრამ დაიჭექა რუსულმა ზარბაზანმა და დაინგრა ბაგრატიონთა უძველესი, ათასორას წლოვანი ტახტი, ხოლო ხალხს არა სჯერა ერეკლეს ჩვეულებრივი სიკვდილი, იგი მას აცოცხლებს თავის ოცნებაში:

„მეფე ერეკლე ზეცას არს
ღმერთთან არს წილნაყარია“...

იგი მას არც მკვდრად მიაჩნია, ანუ როგორც გოდერძი ფირალიშვილის ლექსშია გამოთქმული, რომელიც ხალხურად იქცა:

„მეფე ერეკლე ჰსცოცხლობდან
აწცა და უკუნისამდე,
მტერთა თავმტეხი,
მოყმეთა მცველი აქამდე,
აწ სძინავს ბრძოლით მაშურალსა
და განილვიძებს დილამდე,
თუ სადმე წარვალს, წაგვიყვანს,
არლა გაგვიშვებს შინამდე.
გათენდა დილა, ბატონო,
დრო არის მტერთა დასხმისა,
ალკაზმა ცხენთა და ჯორთა
და მათი ალვირასხმისა,
კვეთა თავ-მკლავთა მტერთასა
და სისხლის ველად დასხმისა,
უბრძანე ბუკთა ტკრციალი,
ბანაკით ჯართა განსხმისა“...

და როდესაც ბატონი ერეკლეს მქუხარე ხმა ალარ გაისმის:

„ვიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი,
თავშიგან ვიცეთ ლოდებით,
მიჰრულებია ნეტარსა.
წარსულ არს ღვთისა წოდებით,
შევბლაველოთ ცრემლთა ფრქვევითა,
თუმცა ისმინოს გოდებით,
აწ წარხდა ჩვენი ცხოვრება,
გულითაც დავიკოდებით“...

და მართლაც: შემდეგ „წარხდა ჩვენი ცხოვრება“. ერეკლეს მემკვიდრენი, მოძალადე რუსეთის მიერ ქართული მიწაწყლიდან აყრილნი, ჩრდილოეთ რუსეთს გადარეკეს; და ატირებულია მათი ჩანგი, დამძიმებული სევდით, დატვირთული ჭირვარამით და სოფლის სიმუხთლეზე გოდებით... ბაგრატიონებმა საქართველოში ხმლითა და კალმით დაიწყეს მოღვაწეობა, ხმლითა და კალმით დაასრულეს იგი.

ალმოფხვრა წალკოტისა

მოვიდა რუსეთი, მოატყუა და გაძარცვა საქართველო, დაამხო ბაგრატიონთა ტახტი, დაამსხვრია ბაგრატიონთა გვირგვინი, გადარეკა ბაგრატიონნი რუსეთს და შეუდგა ქართველი ერის გადაგვარებას. რუსეთის ასეთმა მზაკვრულმა მოქმედებამ დიდი აჯანყებები გამოიწვია, რომელშიაც ბატონიშვილები მთავარ როლს თამაშობდნენ.

მირიან ბატონიშვილი, „შავი ნაღველით აღსავსე“ სწერს:

„მოვშორდი მშობელთა და ნათესავთა
სწორთა, მეგობართა, მოყმეთა, თავთა,ნ
მით საწუთრომან მიმცა
ნაღველთა შავთა,
ამ დარდით მიხსენით, დამავალენით“...

მაგრამ ვის შეეძლო ამ დარდისაგან ხსნა, როდესაც, როგორც ამბობს მარიამ ბატონიშვილი:

„იგრგვინა ცამან ჩვენზედა რისხვითა საშინელითა“.

სევდით აღსავსე მარიამი ჰგოდებს, შეაჩვენებს რუსებს, ვინც ააოხრა მისი წალკოტი, მისი ბაღი-სამშობლო:

„ჰოი დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალო ეტლმან რა ქმნა ცილობა,
ალფხვრა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
დასთრგუნვა ჩემი დღე-კეთილობა,
ბნელჰყო ქართლოსის
ძვირფას მტილობა
მესისხლე მარიხს აქვს ხმალწვდილობა.“

ჩრდილოეთიდან მოხეთქილმა ქარმა და ღვარმან წალეკა ქართული ბაღი:

„დაბრუნდა ეტლი უკუღმა,
წარხდა დღე კეთილ-მზიანი,
დაემხო ტახტი მაღალი,
რა ბედნიერი, სვიანი...
აწ საწუთროსა მდურავი,
ვსტირ უბედური დღიანი“...

ვინაიდან:

„ჩემი წალკოტი აღყუავებული,
ყვავილთ სიმრავლით გამშვენებული
იქმნა, ამად ვსტირ ცეცხლმოდებული,
ოთხ კიდე სახელ განდიდებული,
ვაიმე, მათგან მოოხრებული,
ვის შეხუდა მათი მოადგილობა“...

„ჰე რად შევესწარ ამა დარესა, ძნელ სახილველსა, შესაზარესა“... და **ქეთევან ბატონიშვილიც** ასევე მოსთქვამს და ჰგოდებს:

„ჰოი ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემი სიცოცხლის დამამცრობელი,
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
ბედნიერ პალატთ დამამხობელი,
მშვენიერ წალკოტთ არ მფურჩვნებელი.
ჰოი ვითარ ვსთქვა“...

და **თეკლა ბატონიშვილი** უპასუხებს რა ქეთევანს, ეუბნება: „იგლოვ მაღალ ტახტს, ვაი წახდომილს! დიდებულს პალატს, მსწრაფლად დამხობილს“ და თან ამშვიდებს:

„რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი...
ნუ სწუხ,დაშრტება ცეცხლთა დებანი“-

ხოლო **ფარნაოზ ბატონიშვილი** იგონებს დროთა წინარეს და ეხლა კი:

„სოფლის სიმუხთლემ ჟამთა ქცევითა,
მიგვცა ჭირებსა დღე დალევითა,
ბედკულობითა, თავთა წყევითა,
უწყალოდ ლახვართ გულთა ხევითა...
ისმინეთ ჭირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე“...

და **ბატონიშვილ დავითიც**:

„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,
დავშთომილვარ ასე აწ უნუგეშოდ,
უბადობის გამო სხვისა და სხვისა“...

ეს სხვა იყო რუსეთი, რომელმაც ბატონიშვილი დავითი სამეფო ტახტზე არ აუშვა და რუსეთს გადაასახლა. წასვლისას, როგორც ცნობილია, თავისი საკუთარი თოფი ბატონიშვილმა დავითმა შიო მღვიმის მონასტერში დასტოვა და საქართველოს სამუდამოდ გამოემშვიდობა, გაუფრინდა სიხარულის ფრინველი, დაშთა აწ უნუგეშოდ...

ვ. ნოზაძე.



პატარა კახი

მე ამ გზით ვივლი

ლეგ. ქ. რაჭველი

მე რათ მინდა ეს ლექსები,
შიგ ნაშალი ტრფობის ვარდი,
თუ რასაც ვწერ ვერ გამიგეს,
თუ ჩემს ერს არ შეუყვარდი!..
მე რათ მინდა ამ ფურცლებზე
დავანთხიო აზრი, გრძნობა,
თუ მკითხველი მას არ გაჰყვა
თუ შიგ ძალა არ იგრძნობა!..
თუ კალამი ველარ აღწერს
ჩემი ერის გულისნადებს,
თუ ვერ ვუმღერ ქართლის შვილებს
ნამდვილ ქართულ სერენადებს!..
რაა ლექსი, თუ მას მხოლოდ
მწუხარების დაღი აზის,
ან ცრემლები დაუშრობი,
ან ლოცვანი სულით ნაზის!..
მაშინ როცა მტერი მტრულად
მოიჭრება გულისკარად
ცრემლი ხმლად არ გამოდგება
მწუხარება —შვებნის ქნარად!..
არ ვისურვებ მიწას გავცდე
ბინად ვსახო ზეცა მარად,
ერს გავექცე, მის სამსახურს
ვუპასუხო არ საკმარად!..

რაღად მინდა ეს სიცოცხლე
თუ ვიგრძენი თავი ობლად,
მამულისგან გავიწირე
არვინ დამრჩა ჩემს მახლობლად!..
ან რად მინდა ჩემს ლექსებში
ჩავაქსოვო აზრი რთული,
თუ არ იქნა რწმენით სავსე,
ვერ ვახარე შიგ ქართული.
მე შვილი ვარ ჩემი ერის
ვამუსიკებ მისთვის ენას,
რადგან ერი და მამული
ერთად ნიშნავს ულევ ლხენას!..
და სანამდე გული ფეთქავს
კვლავ ვიფიქრებ მე ამ ვალზე,
ჩანგს ვაჟღერებ განუწყვეტლივ
ერის დიად მომავალზე!..
დღეის შემდეგ ჩემთან ერთად
ჩემი მუზაც ასე ივლის,
ვიდრე ბნელს მზე არ დაჰფარავს
და ღრუბელი არ გადივლის!..
ვიდრე კვნესა, მძიმე ურვა
ხალხის გულში კიდევ არი,
ასე უკრავს სიკვდილამდე
გულმხურვალედ ჩემი ქნარი!..



თეკლა ბატონიშვილი

გერმანელი მეკავშირენი

ჩვენ მზად ვართ

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ჩვენ წავიკითხეთ მეტად ღირსშესანიშნავი პატრიოტული მიმართვა ყველა ქართველი მამულიშვილისადმი, დავეხმაროთ ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ახალგაზრდობას. ამ მოწოდებამ ჩვენს ქართულ მუშათა ათასეულში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ქართველ მეომრებს ერთი მიზანი გვაქვს, ესაა სამშობლოს რაც შეიძლება მოკლე დროში განთავისუფლება. ქართველი ერი, 23 წელია გმინავს ბოლშევიზმის მძიმე უღელს ქვეშ. ჩვენი წინაპრების მიერ სისხლით მოპოებული სამფეროვანი დროშა კვლავ უნდა აფრიალდეს ქართულ მამულში. საქართველო უნდა იქნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამისათვის ვიბრძვით დღეს ჩვენ. ამ ისტორიულ ბრძოლაში, როგორც 1918 წელს, ისე ეხლაც გერმანიის ხალხი გვიწევს მეგობრულ დახმარებას. ჩვენ ამას ვგრძნობთ და გერმანელ ჯარისკაცებთან მხარდამხარ ვიბრძვით თავდადებით.

ჩვენი მუშათა ათასეულის მებრძოლები მზად ვართ, ყოველგვარი საშუალებით გავაძლიეროთ ქართველ ლეგიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროს ფონდი. ნაწილში მიმდინარეობს ფულადი სახსრების შეგროვება, რომელიც მოკლე დროში გადაიგზავნება დანიშნულისამებრ. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ თქვენს მოწოდებაზე ძვირფასო ძმებო!

ლეგ. მათხოჯელი.

ალბანეთის დამოუკიდებლობა

ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გაქცევისა და ბადოლიოს კაპიტულაციის შემდეგ, ალბანეთში შექმნილია ნაციონალური კომიტეტი, რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა ქვეყნის ხელმძღვანელობაზე.

კომიტეტის მიზანს შეადგენს ალბანეთის დამოუკიდებლობის აღდგენა და ბრძოლა ანარქისტული ელემენტების წინააღმდეგ.

ნაციონალურმა კომიტეტმა მიმდინარე საქმეების მოსაწესრიგებლად დანიშნა კომისია და მიმართა გერმანიის მთავრობას შუამდგომლობით მისი ცნობის შესახებ. გერმანიის მთავრობამ იცნო კომიტეტი და განაცხადა სურვილი მასთან, როგორც ქვეყნის დროებით მთავრობასთან თანამშრომლობაზე.

ფიცი სამშობლოა, სამშობლო -- ფიცი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

შემოდგომის დილაა. შავი ზღვის ნაპირებს ბუნება განრისხებია. ცა შავი ღრუბლებით შემოსილა. დრო და დრო ქექს, ღრგვინავს, თითქოს დედამიწას ებრძვისო. ზღვაც მას თანაუგრძნობს, იბრძვის, ნაპირებს ეხეთქება.

დაღვრემილი ბუნება არ უშლის ხელს ქართველლეგიონერთა სასიხარულო, სადღესასწაულო განწყობილებას. გრგვინვა ჩადგა. მზის სუსტი სხივებით მოირთო სქელი ღრუბლები, ზღვა დაამდა.

ქალაქ კ-ის, სასპორტო მოედნისაკენ ლაშქრული სიმღერით მიემართებიან ქართული ასეულები. მოედნის გულში ჭოგრზე აღმართულია დიდი გერმანიის ნაციონალური დროშა, აქვეა ჩვენი წინაპრების სისხლით შეღებილი, მამულისთვის მებრძოლთა სიამაყე, ჩვენი შინდისფერი ალამი. ბუნების სიუხვით მოურთავთ ტრიბუნა და მოუქარგავთ წითელი არშიებით. ტრიბუნის წინ არის შაშხანები, ტყვიამფრქვევები, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი...

ლეგიონერები შემოდიან მოედანზე სიმღერით და ტრიბუნის ირგვლივ ეწყობიან. თვითეული მათგანის გულში ღვივის უკეთილშობილესი, სამშობლოს ხსნის, სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლის სურვილი.

სამწყობრო ზეიმის დამთავრებისას, მოედანზე შემოდის გენერალი ლოხტი. მას მოჰყვებიან ლეგიონის უფროსი ობერსტი ჰენელი და გერმანელი ოფიცრები. გენერლის მისალმებაზე ლეგიონერთა კოლონიებიდან ისმის მქუხარე „ვაშა!“ ხმა ტალღასავით გადადის მწყობრიდან მწყობრში.

კოლონები მიემართებიან ფიცის მისაღებად. მამულიშვილური ბრძოლის წინმძღოლისაკენ, შვინდისთერ ალმისაკენ, რომელიც ხელში უჭირავს საპატიო ყარაულს. ალამი დაუშვეს. ახალმოსულმა მებრძოლებმა ხელი დაადეს შვინდისფერ ალამს. მამაპაპური დროშა იწვევდა მათ ფიცის მისაღებად. ათასეულის უფროსი კითხულობს ფიცის გერმანულ ტექსტს, რომელიც ქართულად მეორდება. დამთავრდა ფიცის კითხვა, მწყობრი გრგვინავს: „მე ვფიცავ...“ „ვფიცავ“ ამ სიტყვით ლეგიონერები ერთგულებას ეფიცებიან მამულს, ეფიცებიან გერმანელ ხალხს და მის ბელადს ადოლფ ჰიტლერს ერთგულებას, გერმანელ ხალხის ნდობას [illegible] ვაჟკაცურად შესრულებას. „მე ვფიცავ“ ამ სიტყვებით უერთდებიან ახალმოსული მებრძოლები, მამულისთვის მებრძოლ მეგობრებს. თვითეული მებრძოლი გრძნობს უდიდეს სიხარულს. ეს სიხარული არის იმედი სამშობლოს განთავისუფლებისა. ლეგიონის მეთაურმა თავის სიტყვაში მოიგონა ჩვენი წინაპრების გმირული ბრძოლები მამულისათვის, გამოსთქვა ღრმა რწმენა, იმედი, რომ ქართველი ლეგიონერები გაამართლებენ გერმანელი ხალხის ნდობას და გამოიჩენენ მამაპაპურ უნარს სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. შვინდისფერ დროშას, სთქვა მან, — რომელიც აქ ფრიალებს დღეს, თქვენი ხელით ჩაიტანთ საყვარელ სამშობლოში, ამ დროშით თქვენ მიუტანთ თქვენს ხალხს თავისუფლებას. ლეგიონის უფროსმა აღნიშნა ქართული ლეგიონის ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ილაპარაკა იმ ვაჟკაცობის შესახებ, რომელიც გამოიჩინეს პირველი, მეორე და მესამე ასეულის მებრძოლებმა.

სიტყვის დასასრულს ლეგიონის უფროსმა საბრძოლო დამსახურებისათვის დააჯილდოვა 25 ლეგიონერი.

ლეგ. ინელი



„ქართველი ლეგიონერი“ — ეს სურათი ეკუთვნის გერმანელ მხატვარს და მოთავსებულია ერთერთ სამხატვრო გამოფენაზე.

ჩვენ ვიბრძვით სამშობლოს თავისუფლებისათვის

ქართველი, რომელიც თავისი მზიური სამშობლოს ჰაერით აღზრდილა, უდიდეს სიამაყეს გრძნობს, როცა თვალს გადაავლებს წინაპართა წარსულ ცხოვრებასა და ბრძოლას. საქართველოს ბუნება მაცოცხლებელი სურნელებით არის გაჟღენთილი. ქართველი ხალხი გაუტეხელი, ქედმოუხრელი, მტკიცე და შეურყეველი იყო და არის მუდამ. ჩვენი მამული ვერ გასტეხა არაბთა ხანგრძლივმა ბატონობამ. იმ საშინელ დროშიც კი, ჩვენი ერი გაცხოველებით აღვივებდა თავის ნაციონალურ კულტურას. დადგა ჟამი ცხარე ბრძოლისა, ხალხს სათავეში ჩაუდგა ღვიძლი შვილი, ბრძენი და ბრწყინვალე გვირგვინოსანი დავით აღმაშენებელი. მის გარშემო შემოიკრიბა ქართველობა, და მისი მგზნებარე მოწოდების ხმა, გრძნობით აღვივებდა თვითეული მათგანის გულს. ბრწყინვალე გვირგვინოსანის რაინდი ხმალი და სიბრძნე გზას უნათებდა დაჩაგრულ ერს. მოისპო საქართველოში არაბთა ბატონობა, ერი დაადგა კულტურისა და აღორძინების გზას; საქართველო ხდება მოწინავე, კულტურულ ქვეყანად. დავითის შემდეგ ქართველ ხალხს, მხსნელად და მფარველად მოევლინა ციური თამარი. მისი სახის ელვარება, ჩვენი ლამაზი მხარის შუქს შეუერთდა და ძლევამოსილების გვირგვინი გამოჰკვეთა. ქართველი ბედნიერი იყო, როცა ის იბრძოდა თამარის დროშის ქვეშ. ბედნიერება იყო მაშინ ბრძოლის ველზე გმირულად დაცემა სამშობლოსათვის. თამარი იყო დედა ყოველი ქართველისა. რას წარმოადგენდა მაშინ ჩვენი ქვეყანა? თავისი ძლიერებითა და კულტურით მას მოხიბლული ჰყავდა მთელი მსოფლიო. ამ ეპოქის საქართველომ, აღზარდა უდიდესი გენიოსი, ადამიანის გულის მესაიდუმლე შოთა რუსთაველი. დავითი, თამარი, შოთა, ესენი მასულდგმულებელი სახელებია ჩვენთვის.

მე-13 საუკუნის დასაწყისიდან, მონღოლთა მიერ დაყენებულმა სისხლის ღვარმა წალეკა მრავალი სახელმწიფო. მწარე ბედი ხვდა საქართველოსაც. ჩვენი წინაპრები, მაინც მედგრად და შეუდრეკლად ებრძოდნენ კალიასავით მოსეულ მრავალრიცხოვან მტერს. ქართველებმა მათ აჩვენეს გმირობისა და რაინდობის საუკეთესო მაგალითი. მტრის დანაკარგი განუზომელი იყო, მოელვარე ქართული ხმალი, სასტიკად უსწორდებოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს, მაგრამ ვერაგმა მტერმა შესძლო ხელში ჩაეგდო წალკოტის მსგავსი ჩვენი ქვეყანა. მშობლიური ქართული მიწა ხდება მონღოლთა სათარეშო მოედნად. ქართველ ხალხს მტრისათვის მონურად ქედი არ მოუხრია. ჩვენი სამშობლოს არც ერთ კუთხეში არ ჰქონია მტერს მოსვენება. თავისუფლების მოყვარული ხალხი არ ჰყრიდა იარაღს. მრისხანე ჩინგისხანმა, ვერ შესძლო ჩაექრო ქართველის გულში ბრძოლის სურვილით დანთებული, თავისი მიწა-წყალის სიყვარულის მგზნებარე ცეცხლი.

ჩვენთვის საამაყო ბრძოლები გადაიხადეს ქართველებმა, შეუბრალებელი თემურ-ლენგის წინააღმდეგაც. სამშობლოსათვისაც თავგანწირული მებრძოლი, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ხელიდან არ უშვებდა ხმალს. მონღოლთა ურდოები, სპარს-თურქებმა შესცვალეს. მათ ეგონათ, ადვილათ შესძლებდნენ ასეული წლების მანძილზე, ბრძოლით დაღლილი ივერიის დამონებას, მაგრამ ისინიც მწარედ მოსტყუვდნენ. ყოველ ნაბიჯზე მათ წინ ელობებოდა ქართველი მხედრის ვაჟკაცი მკლავი და ბასრი მახვილი. მთა-ველი სისხლით ირწყვებოდა. მიუხედავად განსაცდელისა ჩვენს სახელოვან წინაპრებს, არ ჩაუქრიათ განათლებისა და კულტურის ლამპარი. ქართველ მეფეს, ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში წიგნი და ისე მიუძღოდა წინ თავის ერს. მრავალი ძვირფასი განძი დაგვიტოვეს ჩვენმა დაუვიწყარმა მამებმა: ვახტანგ მეფემ, თეიმურაზ პირველმა, არჩილ მეფემ, გურამიშვილმა, სულხან-საბა ორბელიანმა და სხვებმა. დაუნდობელი შაჰაბაზი, უშედეგოდ ცდილობდა საუკუნოდ დაებნელებინა მნათობი საქართველო. ქართველთა სიამაყემ, რაინდმა გიორგი სააკაძემ და მისმა თანამებრძოლებმა, დაუმტკიცეს მტრებს, რომ შეუძლებელია ჩვენი ხალხის დამონება.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დღიდანვე, ადგილი ჰქონდა უამრავ აჯანყებას, რომლის მიზანი იყო, სუვერენობის აღდგენა. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ქართველი ხალხი სულით არ ეცემოდა და მასში უფრო ღვივდებოდა თავისუფლების მოპოვების მებრძოლი წყურვილი. საქართველომ იგემა მრავალ დამპყრობელთა რისხვა, მაგრამ წარსული ასეული წლების განმავლობაში, მას არ განუცდია ისეთი სიმწარე და გულისტკივილი, როგორიც განიცადა ორი ათეული წლის განმავლობაში ბოლშევიზმის ბატონობის დროს. არც ერთი გარეშე სახელმწიფოს არ მიუყენებია ჩვენი ერისათვის ისეთი მწვავე ჭრილობა, როგორიც მას მიაყენა კაცობრიობის მტერმა ბოლშევიზმმა. საქართველოს გასაბჭოების, უკეთ რომ ვსთქვათ, დაღუპვის გზაზე დადგომის დღიდანვე, ბოლშევიკები ცდილობდნენ ქართველში ჩაენერგათ ის აზრი, რომ თითქოს ჩვენს პატარა ქვეყანას არ შეეძლოს დამოუკიდებლად არსებობა. ისინი ცდილობდნენ ჩვენთვის დაემტკიცებინათ, რომ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი სამშობლოს დაპყრობა ეს იყო ამ ქვეყნის თითქოს აღდგენა და არა დაცემა. ამ მიზნით მათ დაჩრდილეს საქართველოს წარსულ კულტურისა და დიდების ისტორია.

აკაკისა და ილიას მსგავსნი, ვერ წარმოიშვებოდნენ ბნელეთით მოცულ ეპოქაში. თავისუფალი აზროვნების მოყვარული ქართველი ადამიანი სასტიკ დევნას განიცდიდა. საზოგადოების ეს დაუძინებელი მტრები, თავიანთი შეხედულებით „მეცნიერული“ თვალსაზრისით ამტკიცებდნენ, თითქოს მათი ბნელი პოლიტიკის გაბატონება და ხალხის წითელი უღელში შებმა ისტორიული აუცილებლობა იყო. საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი, ეს მაცდური და განუხორციელებელი აზრია“ — ჰქადაგებდნენ ბოლშევიკები. ასეთმა აგიტაციამ და ძალმომრეობამ, თავისებური ნაყოფიც გამოიღო. ბევრი მოწინავე სწავლული ქართველი, უგზოუკვლოდ დაიკარგა. ნაწილი, სასოწარკვეთილებისა და უიმედობაში ჩავარდნილი, სიჩუმემ მოიცვა და ცდილობდა, მხოლოდ ფიზიკური სიცოცხლის შენარჩუნებას. ყველაზე უფრო გულსაკლავი ის იყო, რომ ქართველი ახალგაზრდობაში მოიპოვებოდნენ ისეთნი, რომელთაც დაბეჯითებით სჯეროდათ, რომ საქართველო ვერ იარსებებდა დამოუკიდებლად. მათ ვერ წარმოედგინათ ჩვენი სამშობლო რუსეთის გარეშე. ხშირად შეხვდებოდით ცხარე მოკამათე მოსწავლეებს, რომლებიც ბოლშევიკური პროპაგანდით მოწამლულნი და მკაცრი რეჟიმით შეშინებულნი ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელია დამოუკიდებლად იარსებოს ისეთ პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა. ბოლშევიკური რუსეთის „მფარველობა“ მათ აუცილებლობად მიაჩნდათ. ქართველი ახალგაზრდობა, მოკლებული იყო თავისი სამშობლოს ისტორიის შესწავლის საშუალებას. საღი გონების ქართველი, რომელსაც წარმოდგენა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულზე, ღრმად იქნება დარწმუნებული მომავალი გამარჯვების აუცილებლობაში, საქართველოს ეროვნული უფლების აღდგენაში.

ძმებო, ქართველო მებრძოლნო! თავიდან მოვიშოროთ ის დამღუპველი და მაცდური აზრი, თითქოს ბოლშევიკების მიერ ჩვენი საყვარელი სამშობლოს დაპყრობა, მისი უკანასკნელი ხვედრი იყოს. ბოლშევიზმის გაბატონებით, ჩვენს სამშობლოს ფარხმალი არ დაუყრია. ათასეული წლების განმავლობაში, ბრძოლაში გამობრძმედილი საქართველო არავის დაემორჩილება მონურად. ჩვენ უფლება გვაქვს, ჩვენვე ვმართოთ ჩვენი ქვეყნის ბედი. გაგვაჩნია რა უნარი და საშუალება, ბუნებრივი სიმდიდრე, ჩვენი სამშობლოს ავტორიტეტი კულტურული ქვეყნების წინაშე, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ვიყოთ თავისუფალნი.

დავეხმაროთ და მეგობრული დახმარება გაუწიოთ მას, ვისი გონებაც ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდომია სინამდვილეს. ჩვენ ვართ ერთი ოჯახის შვილნი და ერთმანეთისადმი სიყვარული და თანაგრძნობა მოგვიტანს გამარჯვებას. ქართველი ერის მიზანი არ არის სხვა ხალხის დაჩაგვრა და გაძარცვა. მისი მიზანია თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება.

ლეგ. ა. ივერიელი.

გერმანელთა მძიმე ქვემეხი ესვრის მტერს.

ჩვენი მშობლიური გაზეთი

ქართველი ლეგიონერები თავდადებით იბრძვიან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. არა ერთმა ლეგიონერმა დაამტკიცა ქართველური ვაჟკაცობა მამულის მტრებთან ბრძოლაში.

გარდა საბრძოლო ერთეულებისა, ქართველი ლეგიონერები არიან მუშათა ათასეულებშიც, რომლებიც თავიანთი ერთგული და პატიოსანი შრომით ეხმარებიან მებრძოლ ძმებს.

ქართველ ლეგიონერთა შორის ნაციონალური შეგნების ამაღლების საქმეში დიდ როლს თამაშობს ჩვენი გაზეთი, რომლის მგზნებარე სტრიქონები აღილვებენ თვითეული ლეგიონერის გულს.

ქვემოთ ვათავსებთ ორი ქართველი ლეგიონერის წერილს; ისინი იმყოფებიან მუშათა ქართულ ათასეულში. „1943 წლის 20 თებერვალს გადმოვედით გერმანელების მხარეზე. ამჟამად ვირიცხებით მუშათა ათასეულში. 26 მაისს შესვენების დროს დაგვიძახა ჩვენი ასეულის უფროსმა, გერმანელმა ფელდფებელმა და გადმოგვცა გაზეთ „საქართველოს" 16 მაისის ნომერი. პირველად ვნახეთ ქართული გაზეთი, რომლის დანახვამ ჩვენს გულში გამოიწვია უსაზღვრო აღფრთოვანება და სიხარული.

ქართულ. გაზეთში ნათლად იყო ასახული, თუ რა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. მისი სტრიქონები სიმართლეს ღაღადებდნენ. ჩვენ თვით მოწმენი ვართ იმისა, თუ რა ხდებოდა საბჭოთა საქართველოში. ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთანავე ქართველ ხალხს მოუსპეს თავისუფლება, სიამაყე, ბედნიერი ცხოვრება. მშრომელი გლეხობა კოლმეურნეობაში აუტანელ ტანჯვას განიცდის.

დღეს ჩვენი ძმები იბრძვიან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბოლშევიზმის ულლისაგან და ამ ბრძოლის მედროშეა ჩვენი ქართული გაზეთი.

ჩვენ მოუწოდებთ ქართველ წითელარმიელებს, გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე და ერთად ვიბრძოლოთ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მუშათა ათასეულის ლეგიონერები: დ-ძე და მ-ლი".

◇

არჩევნები ახალ ზელანდიაში

ახლი ზელანდიის პარლამენტის არჩევის დროს, ლეიბორისტების პარტიამ ძლივს მიაღწია გამარჯვებას, მიიღო რა 43 მანდატი, იმ დროს როცა ნაციონალური პარტიის გააჩნია 35 მანდატი. არჩეული იქნა ორი დამოუკიდებელი კანდიდატი. წინანდელ პარლამენტში ლეიბორისტებს ჰქონდათ 50 მანდატი, ნაციონალისტებს კი — 25 მანდატი.

გაუგზავნელი ბარათი

ვ. ურდოელი.

შენი თვალები ეხლაც მაღონებს,
ვიგრძენ ძარღვებში სისხლის დარხევა,
ო, რომ იცოდე, როგორ ათრთოლებ
ჩემი ცხოვრების პირველ ნახევარს,
ცაზე დაკლაკნილ ღრუბლებს მაგონებს
შენი ნაწნავის მხრებზე დახვევა!..
მე ხომ სხვა ფიქრი არა მქონია,
შენ ერთი მყავდი ბნელში მეგზურად,
თუმც მწარე იყო მელანქოლია,
ცხოვრების ნისლი თავზე მებურა, —
ცდუნებამ ვეღარ ამიყოლია,
გული საშინელ ცეცხლში ვნებულა!..
სულ მარტოდ ვიყავ შავბნელ ღამეში,
მხნე მოძახილი არვინ მასმინა,
და გაზაფხულის სინარნარეში,
როცა ვარდები მერცხლის ფრთას მიაქვს,
მე გადამტყორცნეს უცხო მხარეში
და გულმა ცხელი ცრემლი აფრქვია!..
მაშინ მხოლოდ შენ დამრჩი იმედათ,
შენ მეგულვოდი და მიხაროდა,
ოცნება შენზე ფიქრებს მისდევდა,
მუდამდღე შენსკენ მოიჩქაროდა,
გულს შეგინახე ცოცხალ მინერვად,
გულში გრძნობების სამჩქეფაროდა!..
იქნებ სიშორით დაგტანჯე ძლიერ, —
სახე ჩამოხმა და გახდა მკრთალი,
უნათესაო ფიქრებმა გძლიეს,
სიღრმეში დაშრა ელვარე თვალი,
და დაემსგავსა აქ დასმულ, — ს
შენი ლარივით აწვდილი ტანი!..
რა ვქნა ლამაზო, — ის მძაფრი სევდა
მარტოდ დარჩენილს ახლაც მაწვალებს,
თითქოს ცხოვრება წერტილზე შესდგა,
ჩრდილი დაადგა სახეს ნაწამებს!..
აწ სად ვიპოვი, ლამაზო, შენგვარს,
აწ ვინ მაჩუქებს გიშრის წამწამებს!..
დამიგვიანდა მგონი ეს ლექსიც:
თვალი ცისფერი იქნებ სულ დაჰქრა,
უკანასკნელი სიცოცხლე შესვი,
სპეტაკ გულს მოხვდა სიკვდილის დაშნა,
მზეს სხივოსნობა შეშურდა შენთვის
და უსირცხვილოდ ღრუბლებში დაშრა!..
ან იქნებ ფიქრობ, რომ ეს უცხო ცა
თავზე დამცქერის ვით ნატვრის თვალი,
რომ გულს ამ მიწის სუნთქვა სწყუროდა,
რომ ლამაზების ეშხით ვარ მთვრალი, —
არა, ძვირფასო, ეს ყველაფერი!..
მოსაწყენია ჩემთვის და მკრთალი!..
მე აქაც ისევ შენი ხმა მესმის
და ვნებით სავსე თვალები მთუთქავს,
სიყრმის სიხარულს ძველებურ გეტრფი
და მინდა, რომ აქ ყველას ვუთხრა!..
შენი ხმატკბილი და თვალთა ეშხი
ცაში ბულბულსა სიმღერად უთქვამს!..
მე სამუდამოდ გულში დამრჩება
შენი მზესავით სახე ნათელი
და, თუ სიცოცხლე უფრო მწარდება,
თუ ქარიშხლით ვარ გადასათელი, —
მაინც გამაგრდი და ნუ ჩაქრება
შენი თვალების წმინდა სანთელი!..
დაგიბრუნდები ალბად უენები
ახალი ცეცხლით და გატაცებით
აქ მუდამ შენზე ფიქრებს ვუნდები,
სხვა მე არ მინდა თვალწარმტაცები...
სხვა თვალებისთვის ვარ მე ურგები,
მხოლოდ შენ გიხმობ გულაღტაცებით!..
წერა შევსწყვიტე... ბინდი ჩამოდგა,
ფერმკრთალი მთვარე ნისლში ეხვევა...
ცა უმთვაროა? — მერე რა მოხდა!
ვინ გაიკვირვებს ამგვარ შემთხვევას!..
ალბად ნისლიდან ისევ ამოვა
და კაცს და მიწას გადაეხვევა!..

წყალქვეშა სატრანსპორტო გემი

ამერიკის შეერთებულ შტატებში თავს იმტვრევენ იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხეს იაპონელებმა ამერიკელთათვის სრულიად შეუმჩნევლად კუნძულ კისკუს ევაკუაცია. კისკუ ეკუთვნის ალეუტის კუნძულთა ჯგუფს. ამერიკის ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ იაპონელებმა ამ საქმისათვის გამოიყენეს დიდი წყალქვეშა სატრანსპორტო ნავები. ამერიკული ცნობებით ამ ნავების წყალწყვა აღწევს 4.500 ტონას და აქვთ მოქმედების რადიუსი, რომელიც 30.000 საზღვაო მილს უდრის. მათი სიჩქარე წყალის ზემოთ — 22 კვანძია, წყალს ქვემოთ — 10 კვანძი. გემებზე არის ადგილი ორი თვითმფრინავისათვის.

ბიბლიოგრაფია

Dr. Iurgis Baltrusaitis: Art sumerien, Art roman. Paris, librairie Ernest Lerou

თანამედროვე ევროპული კულტურა რომ აზიის პირმშოა, ეს სადაო საკითხი აღარაა არამც თუ საერთოდ, არამედ კულტურის ყველა დარგშიც და რომ ევროპის კულტურის შექმნაში საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა, ღვაწლი დასდო, ზოგიერთ შემთხვევაში დედობაც გაუწია, — ეს ნათელი ხდება განსაკუთრებით უკანასკნელ მეცნიერულ კვლევათა მიხედვით. დღეს ჩვენ შემთხვევა გვაქვს შევეხოთ კულტურის ერთ სახეს, რომელსაც ეწოდება ხუროთმოძღვრებითი შემკულობა . ანუ არქიტექტურული სკულპტურა.

ზემოთდასახელებულ შრომაში, რომელიც სუმერულ ხელოვნებას ეხება, საკითხის დიდი მცოდნე ბალტრუშაიტისი, აკავშირებს მას რომანულ ხელოვნებასთან. სუმერული კულტურა, რომელიც ეკუთვნის მეხუთე-მეოთხე ათასეულ წელს, იყო აკვანი საერთო კულტურული განვითარებისა და კერძოდ ხელოვნებისა. „აღმოსავლეთის ხელოვნება, — ამბობს ავტორი, — სულ უძველეს წარსულიდან ხმარობდა ფიგურების გეომეტრულ კომპოზიციას. მან იცოდა განყენებულ ფორმათა შემქმნელი ღირებულება და მისი პირველი მოტივები წარმოშობილია მათი კომბინაციებისაგან". (სხვათა შორის აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: არის შეხედულება, რომელიც ფიქრობს, რომ სუმერები იყვნენ ქართველთა წინაპრები).

პრინციპი, რომელზედაც აგებულია სუმერული სკულპტურა არის უპიროვნო და სქემატური გამოსახვა სიცოცხლის მრავალნაირობისა; ხელოვნები ჰქმნიან პიროვნებათა და მხეცთა სახეებს, როგორც გეომეტრულ ფიგურებს და აგრეთვე განსახიერება სხვაგვარდება. ამავე გვარისაა ამ უძველეს სუმერულ სკულპტურასთან შედარებით რომანული სკულპტურაც, ცხოველთა გამოსახულება რომანულ ხელოვნებაში იგივეა, რაც აზიის ხელოვნებაში. „დასავლეთში (ევროპაში) და აღმოსავლეთში (აზიაში) ჩვენ ვხვდებით არამარტო საერთო სქემას, არამედ ხშირად კიდევ იგივე ანატომურ დეტალებს, იგივე მხეცებს". იმ ფიგურებს, რომელთაც ვიცნობთ აზიაში, ვხვდებით ევროპაშიც. რანი არიან ეს ფიგურები?:-პირველად ყოვლისა სუმერული ეპოსის გმირი გილგამეში, მერმე: მხეცები, ყვავილები, ფრინველები, ხენი, ადამიანი-თევზი, ხვლიკები, ორმაგი ტანის ფიგურები, ორთავიანი არაჩვეულებრივი სხეულები, ნადირნი, ნახევარადამიანი-ნახევარ მხეცი და სხვ. სუმერული ხელოვნების მიერ გამოქანდაკებული ეს სახეები გვხვდება აგრეთვე საშუალო საუკუნეთა ევროპის ხელოვნებაშიც, ქანდაკებათა დარგში.



ურ-ის მეფის საფლავის ქვის ამონაკვეთი.

სუმერული, და აქედან გავრცელებული ჰიტიტური (ხეთური), ასირული, კაბადოკური, ხალდური, აქემენიდური, ლურისტანული და სხვ. ხელოვნების ნიმუშები ისპაჰანში, სუზა, კერკუკ, ურ, ნინევია, ბაბილონ, ელამ,ასურში წარმოდგენილია აგრეთვე ევროპის ხელოვნებაში: სენ ჟაკ კომპოსტელ, რიპოლ ვეზელე, პაუტიე, მოდენა, ვალანს, კლოსტერრატ, ვარტბურგ, მოასაკ, სენ მიშელ, სენ მარტენ, ტარაგონ და სხვ. და სხვ. მრავალ ევროპულ ქალაქთა ტაძრებზე და ეკლესიებზე. ამ ფიგურათა ანუ გამოქანდაკებულ სახეთა შორის „არსებობს არამარტო საერთო ნათესაობა ტექნიკაში და სქემაში, არამედ აგრეთვე ტიპურ წვრილმანებშიც", — ამბობს ავტორი. ფიგურები ერთმანეთს ემსგავსება, ხშირად ასლია გადმოღებული როგორც სტილის დარგში, ისე იკონოგრაფიაშიც: რომანულ ხელოვნებას მრავალი ელემენტი აქვს აზიური იკონოგრაფიის გავლენით. ასირიის იკონოგრაფიის პირდაპირი გავლენა მოდის მეთორმეტე საუკუნის რომანულ ხელოვნებაზე. ასირული ლაზარტუს პერსონაჟებს ვხედავთ ნაზარეტის ტაძარზე და დემონებს ჟურსელში, მოასაკში, სენ სევერში, სუსტანში და სხვაგან (საფრანგეთში). ასევეა ნათვლის საკითხშიც. ტულუზის ოგუსტენის მუზეუმზე გამოქანდაკებული ნათვლა და აღმოსავლეთის (ორიენტის) ამგვარივე რელიეფი ერთი და იგივეა. სხვა კომპოზიციები კიდევ,—განაგრძობს ავტორი, განმეორებაა აზიის ძველი ხელოვნებისა; მაგ. ქრისტიანულმა ხელოვნებამ ბევრი შეითვისა სუმერულიდან; სუმერული ლეგენდა ადამ და ევას, ორნამენტალური ხის და სუმერ-აკადური ლეგენდა წარღვნის შესახებ გადასულია ქრისტიანობაში. ასევეა გერალდიკის საკითხშიც. მაგ. გერალდიული არწივი სუმერ-ხალდური ჩნდება ევროპაში, მეათე საუკუნეში მუსულმანურ ისპანეთში და ორი საუკუნის შემდეგ საფრანგეთში.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ანუ აზიიდან ევროპაში ხელოვნების ფორმათა შეტანა უუძველეს ხანას ეკუთვნის, განსაკუთრებით ძლიერია ეს შეტანა ჰალშტატის ხანაში. ესტ, ბალონ, იტალია, ტიროლი, კარნიოლ, ბერნ, შტირია, სარდინია, რაინ, საფრანგეთი, გერმანია, ინგლის, იაპონიაში ჩნდება წმინდა აზიური მორთულობა-მოკაზმულობა ხელოვნებაში: ფრთიანი ცხოველები, სფინქსები, კენტავრები, ქიმერები ანუ ფანტასტური ცხოველები. ეტრუსკების (ხალხი, რომელიც უუძველეს დროში იტალიაში ცხოვრობდა და შემდეგ მოისპო, მას უნათესავებენ ქართველურ მოდგმას) ხელოვნება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლეთთან, იყო აგრეთვე გამავრცელებელი აზიის ძველი ხელოვნებისა ევროპაში (სვასტიკისაც). ამგვარად, — ამბობს ავტორი, პროტოისტორიული ხანიდან და უფრო წინადაც, ევროპაში იქმნება მრავალი ძვირფასი ფორმა და მოტივი, რომელიც ძველი აღმოსავლეთიდან მოდის. კოპტებმა, სირიელებმა, ბარბარებმა, არაბებმა, ბიზანტიელებმა ხელი შეუწყვეს მას ევროპაში გავრცელებულიყო და გაფართოებულიყო.



ქუთაისის ტაძრის წაქანდაკი.

ასევეა ოქრომჭედლობის საქმეშიც. სკვითებისა და ბარბარების ოქრომჭედლობა და ევროპაში მეროვინგიანთა და კაროლინგიანთა ორნამენტაცია წარმოადგენს განუწყვეტელ ჯაჭვს, რომელიც რომანულ ხელოვნებას აერთებს ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებასთან. ასევეა ქსოვის დარგშიც. ნაქსოვი სურათები დასავლეთში იგივეა რაც

(დასასრული მე-6 გვერდზე)

[illegible] ქრონიკიდან

ახალი „კუზმა კრუჩკოვი“

როგორც ცნობილია პირველი მსოფლიო ომის დროს რუსული იმპერიალიზმის პატრიოტებმა ნაციონალურ გმირათ აქციეს კაზაკი, ვინმე კუზმა კრუჩკოვი, რომელმაც თითქოს ხელჩართული ბრძოლისას მარტოხელამ დასძლია 11 გერმანელი ცხენოსანი. პლაკატები გამოსახავდნენ ამ „გმირს“ შუბით ხელში. შუბზე, როგორც მწვადი, წამოგებულნი იყვნენ გერმანელები. კუზმა კრუჩკოვი ცამდე აამაღლეს, მაგრამ, როგორც მერე გამოირკვა ამას სჩადიოდნენ იმიტომ, რომ აემაღლებინათ ჯარისკაცთა მებრძოლი სული.

სინამდვილეში კუზმა კრუჩკოვი იყო ჩვეულებრივი დონელი კაზაკი, რომლის გმირობა იმაში გამოიხატა, რომ გერმანელ მზვერავებს ტყვედ არ ჩაუვარდა და თავი გაიტანა მანამდე, ვიდრე დამხმარე ნაწილები გაანთავისუფლებდნენ მას.

სასწაული ქვეყნად არ ხდება. ერთ ჯარისკაცს რა დიდი ძალისა არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლია გაუმკლავდეს 11-ს. ბოლშევიკები, რომლებსაც არ სწამთ ღმერთი, არც ეშმაკი, მდგომარეობამ აიძულა მიემართათ მეფის მთავრობის ძველ პროპაგანდისტულ ტრიუკისათვის.

მოსკოვის რადიომ რამდენიმე ხნის წინათ, მთელს ქვეყანას ამცნო სერჟანტის ვინმე ახმედჯან შახუროვის გმირობა. შახუროვი მონაწილეობდა ტაგანროგთან ბრძოლაში, ვინაიდან მთელი გათვლა განადგურდა, იგი მარტო დარჩა ტყვიამფრქვევთან და ისვროდა უკანასკნელ ვაზნამდე. როცა ვაზნები გამოელია, როგორც ამცნობს ქვეყანას მოსკოვის რადიო, „იგი გადაეშვა რა მტრის ჯგუფში, ხელჩართულ ბრძოლაში მოჰკლა 13 გერმანელი“.

ამგვარად ბოლშევიკების „კუზმა კრუჩკოვმა“ გადააჭარბა მეფის კუზმას, ორი გერმანელით. ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირი თუ უახლოეს ხანში დამატებით ამცნობს ქვეყანას მოსკოვის რადიო, რომ პარტიისა და მთავრობის მოწოდების საპასუხოთ შახუროვი კბილებით დაეძგერება გერმანული ტანკის „ტიგრის“ ჯავშანს, გაღრღნის მას, კუდში წაავლებს ხელს „შტუკას“ და ბოლოს მარტო იმღერებს ჰიმნს „დიდი სტალინის სადიდებლად“.

ქვეყნად სასწაული არ ხდება. მაგრამ რაღაცაზე ხომ უნდა იმასხარაოს ეშმაკმა!..

◆

ახალი წიგნი

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა „ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკის“ მორიგი წიგნი, ს. ბერეჟიანის „ნაწერები“. წიგნი დასურათხატებულია და შეიცავს 96 გვერდს.

მამაცი გერმანელი წყალქვეშელები

საინტერესო თემაზე

კოსმიური მტვერი

ვარსკვლავიან ღამეში, განსაკუთრებით აგვისტოს ბოლოში ხშირად შეიძლება შენიშნოთ ცაზე ეგრეთწოდებული „ვარდნილი ვარსკვლავები“. ზოგიერთ შემთხვევაში ვარსკვლავთ ვარდნა ისე ხშირია, რომ ასტრონომები მას უწოდებენ ვარსკვლავთ წვიმას.

მიწაზე ყოველწლიურად მსოფლიო სივრციდან ცვივა რამდენიმე ათეული კილოგრამი კოსმიური მტვერი. ვებერთელა მეტეორები, ციურ სხეულთა მცირე ნამცეცები, უდიდესი სისწრაფით ეცემიან მიწაზე, მისი მიმზიდველობის ძალის გამო. კოლოსალური სიჩქარით მოძრაობისას, ჩამოვარდნილი სხეულები ჰაერისაგან განიცდიან ხახუნის ძალის დიდ მოქმედებას, მათი ზედაპირი ხურდება და გზა წყვდიადში მოსჩანს როგორც ცეცხლის ხაზი.

„ვარსკვლავი ჩამოვარდა“ — ამბობენ ამ მოვლენის შესახებ, მაგრამ ვარსკვლავები, რომლებსაც ჩვენ თვალით ვამჩნევთ მართლაც რომ ვარდებოდნენ, 5-10 წლის შემდეგ სრულიად აღარ იქნებოდნენ ცაზე.

საიდან გროვდება ეს კოსმიური მტვერი? მეცნიერება იძლევა ამაზე პასუხს. მსოფლიოში ყველაფერი მოძრაობს და იცვლება. მკაფიო თეთრი ფერის ვარსკვლავისაგან თანდათან ჩნდება მუქი-წითელი ცეცხლის ბირთვი. შემდეგ ის ცივდება მაგარი ქერქით, რომელზედაც ჩნდება სიცოცხლე.

ცივდება რა განუწყვეტლივ, ის ბოლოს და ბოლოს გადაიქცევა მკვდარ, გაყინულ მასათ. შემთხვევით ძალებს შეუძლიათ დაამსხვრიონ იგი ნატეხებათ, უკანასკნელები გაიტყორცნებიან სივრცეში, განაგრძობენ რა გზას უჩვეულო სამყაროში, კიდევ უფრო დაქუცმაცდებიან. ნაწილები სულ უფრო და უფრო ნაკლებათ მიიზიდებიან ერთმანეთისაკენ, მათ მიიზიდავენ შემხვედრი ახალგაზრდა პატარა პლანეტები და განაბნევენ სივრცეში.

ეს ნაწილები ანუ ნამსხვრევები წარმოადგენენ სხვა და სხვა სიდიდის მეტეორებს, რომლებიც ცვივიან როგორც დედამიწაზე, ისე მთვარეზე და სხვა პლანეტებზე.

შორეულ წარსულში ჩრდილო ამერიკაში (კოლუმბის აღმოჩენამდე) ჩამოვარდა ვებერთელა მეტეორი, რომელიც სამ სართულიან სახლზე დიდი იყო. 1908 წელს ციმბირში ჩამოვარდა აგრეთვე დიდი მეტეორი, რომელსაც ტუნგუზის მეტეორი უწოდეს. (ტუნგუზი მდინარეა, რომლის მახლობლადაც მეტეორი დაეცა).

მცირე მეტეორიტები დედამიწამდე ვერ აღწევენ და მთლიანად იწვებიან ჰაერში. მეცნიერებმა ჩაატარეს მეტეორთა მრავალი ანალიზი და დაადასტურეს, რომ ისინი შესდგებიან თითქმის იმავე ნივთიერებათაგან, როგორც დედამიწა. მათ მასაში აღმოჩენილია: რკინა, ნიკელი, და სხვა ლითონები. ციურ სამყაროდან მეტეორებს არაფერი ახალი არ მოუტანიათ. აქედან შესაძლოა გავაკეთოდ დასკვნა, რომ ყველა ვარსკვლავი და პლანეტა შესდგება თითქმის ერთი და იგივე ნივთიერებისაგან. ამას ადასტურებს სპექტრალური ანალიზიც.

იცით თუ არა თქვენ?

...რომ მსოფლიოში ყველაზე გრძელი წყალქვეშა გვირაბი აშენებულია იაპონიაში? ეს გვირაბი, რომლის სიგრძე უდრის 8 კილომეტრს, აერთიანებს მთავარ კუნძულ ხონსიუს ნავთსადგურ სიმონოხეკს ქალაქ მოგზით. ქალაქი მდებარეობს კუნძულ კიუ-სიუს სამხრეთით. ამ გვირაბის საშუალებით სწარმოებს პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა ქალაქ ოსაკას და ნაგასაკას შორის. არსებობს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უზარმაზარი წყალქვეშა გვირაბის გაყვანას, კორეის სრუტეში, სიმონოსეკსა და კორეიის ნახევარკუნძულზე მდებარე ნავთსადგურ ფუზანს შუა. გვირაბის სიგრძე იქნება 200 კილომეტრი.

ამ გვირაბის გაყვანით დამყარდება კავშირი კორეიასა და მეტროპოლიას შორის.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავიხსენოთ ფრანგული პროექტი წყალქვეშა გვირაბის აშენების შესახებ საფრანგეთსა და ინგლისს შორის ლამანშის ქვეშ. თავის დროზე ინგლისმა არ მიიღო ეს პროექტი სამხედრო მოსაზრებათა გამო.

...რომ მდინარეების სანაპიროებზე იზრდება ეგრეთწოდებული საპნის ძირი? (საპონარია ოფიცინალის)— მცენარე, რომელიც თეთრი ან მოწითლო ფერისაა. რადგან ეს ფერები ლამაზია და სასარგებლო, ამიტომ ამ მცენარეს რგავენ ბაღებში, იგი განსაკუთრებით მეტად გავრცელებულია სამხრეთ გერმანიაში — მაღალი ალპების მახლობელ ოლქებში და დუნაის მიდამოებში.

ამ მცენარის ფესვები შეიცავენ დიდი რაოდენობის საპონინს. მისი ფესვებიდან შეიძლება დამზადდეს საპნის ფხვნილი, რომელიც გამოსადეგია სარეცხისათვის და აგრეთვე ხელის დასაბანადაც. ეს მცენარე, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, ცნობილი იყო ჰიპოკრატესათვის.

◆

ფინეთის ბრძოლა

ფინეთის ფინანსთა მინისტრმა ტანერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მიძღვნილი იყო ფინეთის მდგომარეობისადმი. თავის სიტყვაში მან კატეგორიულად უარჰყო ინგლისისა და ნეიტრალური პრესის მიერ გავრცელებული ცნობები. ტანერმა აღნიშნა, რომ ფინეთში ადგილი არა აქვს არავითარ ტენდენციას „კაპიტულაციისაკენ“.

ფინეთი აწარმოებს ომს ბოლშევიზმთან, იმის გამო, რომ მან მომავალში ვერ შესძლოს ჩარევა ფინეთის შინაურ საქმეში. ფინეთის დამოუკიდებლობა და თავისუფლება არის ძირითადი მიზანი ომისა, რომელსაც ფინეთი აწარმოებს.

ბიბლიოგრაფია

დასასრული

აღმოსავლეთში; ერთნაირია თემა, კომპოზიცია, მოდელი, შესრულება.

ამგვარივე გავლენა აღმოსავლეთისა ევროპაზე არის სტილისტიურ ორნამენტიკაში, მინიატურაში, კალიგრაფიაში. „კავკასიიდან ბრიტანეთის კუნძულებამდე, — ამბობს ავტორი, — იგი წარმოადგენს შეუწყვეტელ ჯაჭვს, ერთსადაიმავე დროს ერთნაირს და სხვადასხვანაირს, მეტად მდიდარს“. ანბანის ასოებს გამოხატავდნენ ცხოველებით, ასე მაგალითად: „ზოგიერთი სომხური ასო შედგენილია უცნაური კომბინაციით რამდენიმე მხეცისა, რომელნიც ერთი მეორეზე გადაბმულნი არიან და ერთმანეთს სჭამენ. ქართული ასოების დაწერაში, ადამიანის თავი აბია გველის ტანს, იქვე ვხვდებით გადაჭდობილ ცხოველებს. (ჯრუჭის მონასტრის სახარების ხელნაწერში). ასევეა დასავლეთ ევროპის ხელნაწერებშიც.

რა მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ანუ ქართულ, სომხურ, დაღესტანურ ხელოვნებას საშუალო საუკუნის ევროპის ანუ რომანული ხელოვნებისათვის? „საშ. საუკუნეთა ხელოვნება სომხეთისა, საქართველოსი და დაღესტანისა, — ამბობს ბ-ნი ბალტრუშაიტისი, — თავისი რომანული ხელოვნების ფორმაციაში თავისი როლით ღირსია განსაკუთრებული განხილვისაო“ და განაგრძობს: „საჭიროა გავიხსენოთ, რომ პრეისტორიული კავკასია განმარტოებული არ იყო სუმერულ ცივილიზაციიდან“. მრავალმა არქეოლოგიურმა გათხრამ კავკასიაში, დაამტკიცა სუმერულ ცივილიზაციისა და კავკასიის ცივილიზაციის მჭიდრო ნათესაობა. „არავითარი ეჭვი არაა, რომ სუმერთა კულტურამ გადალახა არარატის მთა და იქ იგი (კავკასიაში) დიდიხნით დამკვიდრდა, ხოლო ეს ძველი აზიური ფონდი ხელახლა იშვა და მდიდრულად განვითარდა კავკასიის მხარეებში იმ ხანად, რომელიც დაუყონებლივ წინ უძღვის დასავლეთის ხელოვნების ფორმაციას“. მარტვილი, გველდესი, ანანური, ოშკი, ნიკორწმინდა, მცხეთა, კაცხი, ქუთაისი (ბაგრატის ტაძარი), სანაინი, ახტამაი, ანი და სხვ. ტაძარ-ეკლესიებზე გამოქანდაკებული მხეცები, ფრინველები, ფანტასტური ფიგურები, ქიმერები, გილგამეშის ორნამენტი (მარტვილში) და სხვა მრავალი მჭიდროდ ენათესავება მას, რაც სუმერულ ხელოვნებაშია. თემა, სტილი, ტექნიკა არის პირდაპირი მემკვიდრეობა უუძველესი სუმერული ხელოვნებისა. ამასთანავე ქართული, სომხური და დაღესტანური ხელოვნება არის უფრო რთული და ღირსებით შესანიშნავი; სელჯუკებისა და არაბების არქიტექტურული სკულპტურა სპარსეთში, მესოპოტამიაში და მცირე აზიაში უფრო გვიანი წარმოშობისაა, ვიდრე სომხეთში და საქართველოში, სადაც იგი განვითარდა მეშვიდე საუკუნეში. სელჯუკურ-არაბული განსაზღვრულია და სტილით უხეში. თუ საერთოდ იგებოდა დიდი შენობა, მას ყველგან აკლდა სტილისტიური ორნამენტალიკა. პირველი გამონაკლისი ამ წრიდან არის კავკასიის ხელოვნება, მაგალითად: კაცხის მონასტერი, ქუთაისის ტაძარი, სადაც შენობის სიდიდე ხელს არ უშლის ფრიზების, ჩუქურთმების, ტიმპანების შექმნას. „იმ ხანაში, — ამბობს ავტორი, — როცა დასავლეთმა (ევროპამ) თითქმის სავსებით დაივიწყა მეცნიერება დიდი სკულპტურისა ქვაზე, ამიერკავკასიაში ამშვენიერებენ მით დიდი სივრცეების შენობებს“. მეშვიდე საუკუნეში ეკლესია ჯვარისა, ათენისა, მეცხრე საუკუნეში ტაძარი ოშკისა, ქუთაისის ტაძარი (1003 წელში), ნიკორწმინდის ტაძარი (მეთერთმეტე საუკუნის მეორე მეოთხედში), — ყველგან აქ ძველი მემკვიდრეობა ღებულობს სიდიადესა და ძალას; „ჩვენ შევისწავლეთ, — განაგრძობს ავტორი, — სომხური და ქართული ფორმათა სტილისტური ურთიერთობა რომანულ სკულპტურასთან და ვნახეთ ერთიდაიგივე კანონები კომპოზიციის ტექნიკაში“ და საერთოდ ხელოვნებაში. ავტორი ადარებს ევროპისა და საქართველო-სომხეთ-დაღესტანის არქიტექტურულ სკულპტურას ასეთსავეს დასავლეთ ევროპაში:— კუმურდუ კონკ; კუბაჩი—ნოტრ დამ დე ნანტალ, სომურში; კაცხი —პონ ლაბბე; ქუთაისი — სან კუგად დელ ვლეს და დე ქერონ, სენ მიშელ დე პავია; ნიკორწმინდა — ამ მგუ, რატისბონ, ქინგოლი, ანკონე და სხვ. ეს მსგავსება შემთხვევითი მოვლენა არაა. უეჭველია: ქართულ-სომხურმა ხელოვნებამ თავისი გავლენა განავრცო დასავლეთ ევროპისაზე, მაგრამ რა გზით? „არც საქართველო და არც სომხეთი, — ამბობს ავტორი, — დასავლეთის (ევროპის) ქრისტიანულ მსოფლიოს მოწყვეტილი არ იყო. პირიქით, მათ (საქართველოსა და სომხეთს) ჰქონდათ მუდმივი კავშირი ბიზანტიასთან, იტალიასთან და თვით უფრო შორეულ ქვეყნებთანაც“... იერუსალიმში და ალექსანდრიაში ცხოვრობდა ბევრი ქართველი და სომეხი, მათ კავშირი ჰქონდათ ფრანკებთან და ბერძნებთან; კიდევ მეტი, სომხეთის სამეფოს დამხობის შემდეგ, (ჯერ აიღეს იგი ბერძნებმა 1045 წელში, მერმე თურქებმა 1065 წელში და ბოლოს ქართველებმა), აუარებელი სომხები გადასახლდნენ და მეთერთმეტე საუკუნის დასასრულისას დაარსეს ახალი სომხური სამეფო კილიკიაში. ჯვაროსანთა ომების დროის ევროპიელების ურთიერთობა კილიკიის სომხეთთან იყო ხშირი და კილიკიის სომხური სამეფოს თურქების მიერ 1375 წელში დაპყრობის შემდეგ სომხები მოედვნენ ევროპას. აი ამ გზითაც შევიდა ქართულ-სომხური ხელოვნება დასავლეთ ევროპაში, როგორც აგრეთვე კოპტური და მუსულმანურიც, რომელთაც რომანული ხელოვნების წარმოშობას ხელი შეუწყვეს. ამგვარად, „სუმერულ ფორმათა გავრცელებისა და რენესანსის საკითხში, კავკასიის ხელოვნებებს სჩანს ჰქონდათ მნიშვნელოვანი როლი. მათი წყალობაა, რომ მოხდა პირველი ცდა სისტემატიკისა და ორნამენტალური სტილისტიკის განხორციელებისა დიდ სკულპტურაში... მათი (კავკასიურ მხარეთა) სტილი არის შუამავალი სუმერის მონუმენტებისა და დასავლეთის რომანულ ხელოვნებას შორის, (კავკასური ხელოვნება) იგი იყო ერთგვარი ხიდი მათთვის“... მაგრამ მაშინ როცა რომანული სკულპტურა განხორციელებულია კედლებზე და შენობის სხვადასხვა ნაწილზე, კავკასიის სკულპტურას მონახული არა აქვს კიდევ განსაზღვრული ადგილი მონუმენტების ვრცელ სივრცეზე. იგი არსებობს შემთხვევით ადგილზე და მის განაწილება-განლაგებას აკლია შემქმნელის მოფიქრება... რომანულმა ხელოვნებამ განახორციელა ღრმა თანხმობა ამ ორნამენტალური ფორმებისა და ტექნიკის საჭიროებისა, ძვირფასი ობიექტის გამშვენიერებისაგან წარმოშობილნი, ისინი თანამშრომლობენ არქიტექტურასთან...

ავტორი თავის საბოლოო დასკვნებში ეძებს კიდევ ახალ გზებს რომანული ხელოვნების წარმოშობის ისტორიაში და ამბობს, რომ აღმოსავლეთის გავლენა თუმცა უეჭველია, მაგრამ ევროპამ განავითარა ეს გავლენა და შეჰქმნა თვითმყოფი ფორმებიც.

როგორც მკითხველი დაინახავდა, ეს გამოკვლევა არის ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი აგრეთვე ქართული ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც და ალბათ ქართული ხელოვნების ისტორიკოსებიც თავის კვლევაძიებით მუშაობას ამ გეზითაც მიმართავენ.

ბ. ვარდანი

მთავარი რედაქტორი
ასმეთ. გაი მადაურიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.

Berlin W 8, Behrenstraße 65, III.
Druck: Deutscher Verlag, Berlin.